პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 9 აგვისტო 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მხედარი

178 (876) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ნუ გასწყვეტ კავშირს წითელ ჯართან!

კიდევ რამოდენიმე კვირა და დაიწყება წითელ არმიელთა განსაზღვრული ნაწილის უვადო შვებულებაში წასვლა. წითელ ყაზარმაში მიღებული ცოდნით, პოლიტიკურად მომწიფებული და ენერგიით სავსე წითელი მეომარი დაუბრუნდება თავის სოფელს, სადაც მას მოელის დიდი საზოგადოებრივი მუშაობა.

მაგრამ უვადო შვებულებაში წასვლა სრულიად არ გულისხმობს მას, რომ წითელ არმიელმა დაივიწყოს წითელი ჯარი, თავისი ნაწილი და წითელი ყაზარმა. პირიქით მან ერთ წუთსაც არ უნდა გასწყვიტოს მასთან კავშირი. უვადო შვებულებაში წასული წითელი არმიელი მოვალეა წერილობითი თუ სხვა სახით მუდმივ კავშირში იყოს წითელ ჯართან და განსაკუთრებით თავის ნაწილთან. გარდა ამისა უვადო შვებულებაში წასული წითელ არმიელი მუდამ უნდა ზრუნავდეს წითელ არმიელთა ოჯახებზე და საერთოდ წითელი არმიის კეთილდღეობაზე. იქ სადაც წითელ არმიას ნაკლები ყურადღება ექცევა, მან ენერგიულად უნდა შეებრძოლოს ამას და უნდა მიაღწიოს მას, რომ ამ უყურადღებობას ბოლო მოეღოს.

უვადო შვებულებაში წასული წითელ არმიელი აგრეთვე მოვალეა ფართოდ გააცნოს სოფლის მოსახლეობას წითელი არმიის მნიშვნელობა, მისი მუშაობა, მისი მიზნები; ხელი შეუწყოს ტერიტორიალური იდეის ფართე პოპულიარიზაციას, მხურვალე აგიტაცია გასწიოს ჯარში გაწვევის დროს, რომ ახალგაზრდობა ერთსულოვნად გამოცხადდეს და სხვა.

ამით ის მეორე მიზანსაც მიაღწევს—უფრო მეტად დააკავშირებს სოფელს წითელჯართან.

უვადო შვებულებაში წასულ წითელ არმიელმა—სამხედრომ არ უნდა დაივიწყოს თავისი გაზეთიც და მოაწოდოს მას სოფლის ცხოვრებიდან კორესპონდენციები ადგილობრივ მიღწევებზე, მოსავალზე, წითელ არმიელთა ოჯახების უზრუნველყოფაზე და სხვათა შესახებ. ესეც დიდათ ხელს შეუწყობს წითელი არმიის და სოფლის დაახლოებას.

ამრიგად სხვა საზოგადოებრივ მუშაობასთან ერთად უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს წითელი ჯარი, უნდა იქონიოს მასთან მუდმივი კავშირი, მუდამ უნდა ზრუნავდეს მისი ზურგის გამაგრებაზე და ხელს უნდა უწყობდეს მისი კავშირის გაღრმავებას სოფელთან.

აი ყოველივე ის, რაც არასდროს არ უნდა დაივიწყონ უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებმა და ღირსეულად გაატარონ ცხოვრებაში.

## აჯანყება სირიაში

საფრანგეთის იმპერიალიზმს ახალი ფრონტი გაეხსნა. მაროკოს მაგალითს სირიამაც მიყო ხელი. დღევანდელი რადიოდეპეშები გადმოგვცემენ, რომ სირიის აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო.

აჯანყების სერიოზულ ხასიათს მარტო ის ამტკიცებს, რომ საფრანგეთის ჯარებმა უკან დაიხიეს და დიდი მსხვერპლიც გასწიეს. მათ დაკარგეს 200 კაცი მოკლული, ხოლო დაჭრილთა რიცხვი 600 კაცს უდრის.

აჯანყების მიზეზი ნათელია. საფრანგეთის იმპერიალიზმის ძალმომრეობით მოთმინებიდან გამოსულ სირიელებმა იარაღს მიმართეს.

იმათაც ვერ გაუძლეს უცხოელ იმპერიალისტების ბატონობას და აჯანყების დროშა აღმართეს.

სირია პატარა ქვეყანაა მცირე აზიაში, რომელიც უმეტესად არაბებით არის დასახლებული. 1919 წლამდე სირია ოსმალეთის სახელმწიფოს ნაწილს შეადგენდა, ხოლო შემდეგ ერთა ლიგის წყალობით ის საფრანგეთის იმპერიალიზმის ლუკმა გახდა. საფრანგეთის იმპერიალისტები საშინლად ავიწროებდენ სირიელებს და იატაკ ქვეშ ჩადენეს სირიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი.

თვით საფრანგეთის მთავრობის გაზეთი „ტანი“ სწერდა რომ სირიელებს საშინლად ეპყრობიან ფრანგებიო.

ასე თუ ისე სირიელები დაადგენ შეიარაღებულ აჯანყების გზას და როგორც სჩანს სერიოზულად ემუქრებიან საფრანგეთის ბატონობას იქ.

თუმცა საფრანგეთის საგარეო მინისტრი ბრიანი დიდის დარწმუნებით და დამშვიდებით ლაპარაკობს, რომ სირიის აჯანყებას მყისვე ჩავაქრობთო, მაგრამ დიდათ საეჭვოა. საფრანგეთის იმპერიალისტები რიფების აჯანყებასაც უპირებდენ რამოდენიმე დღეში ჩაქრობას, მაგრამ დღემდის ვერაფერი ვერ დააკლეს აბდელქერიმის, რომლის წინააღმდეგ ისინი აპირებდენ 200.000 ჯარისკაცის გამოყვანას. ასე რომ სრული უფლება გვაქვს არ დაუჯეროთ ბატონ ბრიანს, რომ სირიის უმაღლესი კომისრის სერაილის ჯარები ერთის მოსმით დაამარცხებენ აჯანყებულებს.

ჩვენის აზრით ამ ღენერალს ისეთივე ბედი ეწვევა, როგორც მაროკოს კომისარ—ღენერალ ლიოტეს. ტყვიამფრქვევით და მხრჩოლავი გაზით ბრიანები და სერაილები სირიის ხალხში თავისუფლების წყურვილს ვერ ჩაკლავენ.

საფრანგეთის ბურჟუაზიის დაუზოგველი ბრძოლა აჯანყებულთა წინააღმდეგ კიდევ უფრო გააძლიერებს მის მიერ დამონავებულ კოლონიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. და თუ დღეს მაროკო და სირია აჯანყდა ხვალ საფრანგეთის დანარჩენი კოლონიებიც აღსდგებიან თავის სისხლიანი ბატონის წინააღმდეგ.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## ბრძოლა ფრანგების წინააღმდეგ.

ჰავასის სააგენტოს ცნობით ბულინის, ჯებალის და ანჯერის შეიხებმა (მმართველებმა) გადასწყვიტეს იცნონ აბდელ-ქერიმის ძალა უფლება და განაახლონ ბრძოლა ფრანგების წინააღმდეგ.

## საფრანგეთის მთავრობა მოუწოდებს თავდაჭერილ პოლიტიკისაკენ.

გაზ. სვენსკა „დაგბლადეტის“ პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ესტონეთის მინისტრი პუსტა, რომელიც იმყოფება პარიზში და სცდილობს საფრანგეთის მიმხრობას ბალტიის სახელმწიფოების მომავალ კონფერენციისთვის, უხერხულ ატმოსფეროში მოექცა.

საფრანგეთის მთავრობამ ურჩია მას თავდაჭერილი პოლიტიკა აგრესულობის გარეშე.

პუსტამ სთხოვა საფრანგეთის მთავრობას მისცეს გარანტია, რომ ბიზერტში მყოფი რუსეთის ფლოტი, საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემთხვევაში, არ იქნება გადაყვანილი ბალტიის ზღვაზე.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრიანმა უარი სთქვა საბჭოთა კავშირის მიმართ ასეთი პირობების წაყენებაზე.

## გერმანიის მუშათა დელეგატები ბორჯომში.

7 აგვისტოს ბორჯომში ჩავიდა გერმანიის მუშათა დელეგაცია ყურულაშვილისა და სენიუშკინის თანხლებით.

ბორჯომის მუშები და მოსამსახურეები წითელი დროშებითა და ორკესტრებით მიეგებენ დელეგატებს.

დელეგაციას მიესალმა მუშათა წარმომადგენლები. საპასუხო სიტყვით გამოვიდა აგრეთვე გერმანიის დელეგატები.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრმა სენიუშკინმა დაახასიათა დელეგაციის მოსვლის მნიშვნელობა მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნის საქმეში. დელეგატები დარჩებიან ბორჯომში ორი დღე.

## კამათი ინგლისის თემთა პალატაში ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.

კონსერვატორების ანტი-ბოლშევიკური პოლიტიკა ინერციის ძალით გრძელდება არჩევნების შემდეგ. პანსონბი მეტად გადაჭარბებულად სთვლის კონსერვატორების მტკიცებას ბოლშევიკურ პროპაგანდის შესახებ.

ინგლისი თავისი პოლიტიკით თავის წინააღმდეგ რაზმავს აზიის ერებს.

**მაკ ნეილი სცდილობს დაამტკიცოს ჩინეთთან მეგობრობა ამასთან ის აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრულ. ურთიერთობის ცდები, უბრალო დროს დაკარგვა იქნებოდაო.**

მუშათა პარტიის წევრმა პანსონბიმ გააკრიტიკა თემთა პალატაში ინგლისის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი და გამოსთქვა აზრი, რომ ეს დამოკიდებულება ნაკარნახევია სურვილით—არ შესუსტდეს ის სარგებლობა, რომელიც მიღებულ იქნა საარჩევნო კამპანიის დროს ანტი-ბოლშევიკურ ლოზუნგს ქვეშ, რომ ცნობები ბოლშევიკური პროპაგანდის შესახებ მეტად გადაჭარბებულია კონსერვატორების მიერ.

დასასრულ მან მიუთითა, რომ ინგლისის მთავრობის პოლიტიკა ამხედრებს ინგლისის წინააღმდეგ ჩინეთის მრავალრიცხოვან მოსახლეობას.

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი მაკ ნეილი გამოვიდა პანსონბის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ მეგობრულ ურთიერთობის დარღვევის მიზეზი თვითონ მოსკოვია, ვინაიდან ის ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ზიანი მიაყენოს ინგლისს.

ჩინეთის საკითხის შესახებ მაკ ნეილმა განაცხადა, რომ უცხოელთა წინააღმდეგ მოძრაობა ჩინეთში, რომელიც უკანასკნელად გაძლიერდა ბრიტანეთის წინააღმდეგ, ბოლშევიკური პროპაგანდის ნაყოფია. შეიძლება წინად ყველა სახელმწიფოები სცოდავდენ, მაგრამ ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში დავამტკიცეთ, რომ ჩვენ ვართ საუკეთესო მეგობრები, როგორიც კი ჰყავს ჩინეთს უცხოელ სახელმწიფოებს შორის.

ბოლოს მაკ ნეილი შეეხო საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის საკითხს და განაცხადა: „ვიცით რა წინა გამოცდებით-საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა და მეთოდები, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უბრალოდ დავკარგავდით დროს, რომ დავახლოებოდით მათ,—ეს ჩვენ არ გვინდა“.

## რუსეთის სამეცნიერო აკადემიის 200 წლის იუბილესთვის.

ტოკიოს უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი ბიოლოგი განჟმურა გამოემგზავრა ლენინგრადში რუსეთის სამეცნიერო აკადემიის ორასი წლის იუბილეს გამო.

ტოკიოს უცხო ენათა სკოლის პროფესორი ისაუი გამოემგზავრა ამ დღეებში საბჭოთა კავშირში რუსული ენის შესასწავლად და აგრეთვე როგორც იაპონიის განათლების სამინისტროს წარმომადგენელი იუბილეზე.

# სამხედრო ჰოსპიტლის 117 წლის თავი.

დღეს ტფილისის სამხ. ჰოსპიტალი დღესასწაულობს თავის არსებობის 117 წ. თავს. ამ დღისათვის ჩატარებული იქნება წინასწარ მომზადებით შემდეგი: 1) საზეიმო სხდომა, შემდეგ სხდომისა გაიმართება ამხანაგური სადილი, დაიდგმება წარმოდგენა, გაშვებულ იქნება ცოცხალი გაზეთი, შემდეგ წავა კინო-სურათი. მოწვეულია სტუმრები სხვადასხვა სამხედრო ორგანიზაციებიდან.

საზეიმო სხდომის დროს, საჩუქრები გადაეცემათ თავდადებული და ხანგრძლივი მუშაობისათვის შემდეგ თანამშრომლებს: 1) მრეცხავი ქალს ეგიროვას, რომელიც მუშაობს სამხ. ჰოსპიტალში 38-წ. 2) მზარეულ ხაჩიკიანცს 3) მოწყალების დას მედვედიევას, 4) ექიმ ისაკიანცს, 5) წ. არ. სალპანოვს, (სანიტარი) 6) მიხაილოვს, 7) კასტამაროვს, 8) შაბანოვს; დივლაზარეთიდან: 1) ექიმის თანაშემწე ჟდანოვს, 2) წ. არ. მეხრიშვილს, 3) წ. არ. ელბაქიძეს, 4) წ. არ ბეხლტორტს. ტფილისის სამხედრო ჰოსპიტალი თავის დღესასწაულს ზეიმობს ქართულ დივ-ლაზარეთთან ერთად, რომელთა შორისაც გამტკიცებულია მჭიდრო თანამშრომლობა.

ამ დღეს სიხარულით ეგებება მთელი თანამშრომლები, ამ დღეს მოგონებული იქნება ის დრო, როდესაც თანამშრომლებს უხდებოდათ სამსახური მეფის რეჟიმის დროს, სადაც მათ არავითარ ანგარიშს არ უწევდენ და ისინი განიცდიდენ მათგან ყოველგვარ შევიწროებასა და ექსპლოატაციას. დიაღ, დღეს თავისუფალი და ყოველგვარ უფლებით აღჭურვილი ჰოსპიტალის თანამშრომლები დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით იდღესასწაულებენ საიუბილეო დღეს.

# შავი ქვის კონცესიის გარშემო.

### ჰარიმანის წარმომადგენელი ჭიათურაში.

ჭიათურაში ჩამოვიდა ჰარიმანის წარმომადგენელი რასკოვიჩი შავი ქვის მრეწველობის სამმართველოსაგან ქონების ჩასაბარებლად.

წვრილი სამრეწველოების უმეტესობა კვლავ იწყებს მუშაობას.

„როროუტის" ფირმამ გამოითხოვა სამთომადნო მუშათა კავშირიდან 300 მუშა. გელზენკისხენის საზოგადოება იწყებს მუშაობას ახალ უბნებზე.

**შავი ქვის გაზიდვა.**

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოებამ მიიღო ჰარიმანისაგან უფლება 600.000 ტონა შავი ქვიდან (რომელიც უნდა გაიტანონ კონცესიონერებმა) გაიტანონ 38 პროც. ჰარიმანის ხელშეკრულების თანახმად ჭიათურის მრეწველები ღებულობენ 25 პროც. წმინდა მოგებას.

**შავი ქვის რეცხვა.**

ჭიათურის ორ სახელმწიფო ქარხანაში გრძელდება შავი ქვის მარაგის რეცხვა. ქარხნები რეცხავენ დღიურად 25,000 ფუთი ქვას.

**სარეწავო საავადმყოფოს რემონტი.**

შავი ქვის სამმართველო კაპიტალურ რემონტს უკეთებს ჭიათურის სარეწავო საავადმყოფოს, რომელშიაც მოთავსებულ იქნება 80 ტახტი.

**საგზაო აღმშენებლობა.**

გლეხების თაოსნობით კეთდება ჭიათურის ახალი შარაგზები და რემონტი უკეთდება ძველ გზებს. სამაზრო აღმასკომი აძლევს გლეხებს საამშენებლო მასალას და ტეხნიკურ ძალებს.

სამუშაო ნავარაუდევია ორი წლით. განზრახულია შარაგზის გაყვანა საჩხერესა და ონს შორის 35 ვერსის მანძილზე.

**საკუთარის ძალებით.**

გლეხები საკუთარის ძალებით აშენებენ სკოლებს ჭიათურის მაზრაში. სამაზრო აღმასკომი აძლევს გლეხობას საამშენებლო მასალას და შინა მოწყობილობას.

---

ორშაბათს, 10 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა:

1) კომუნალური . . . . . . . . . . (წითელი თეატრი).

**დღის წესრიგი:**

1. მოხსენება ,,რუოხ''-ის შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

2) ჯანმრთელობის . . . . . . (აღმასკ. შენ. ოთახი № 7).

**დღის წესრიგი:**

1. მოხსენება ქ. ტფილისში პურის-ცხობის შესახებ,
2. მიმდინარე საკითხები.

3) სოფლად მუშაობისა და საბჭოთა აღმშენებლობის. (აღმასკომის შენ. ოთახი № 66).

**დღის წესრიგი:**

1. მოხსენება მომავალი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის დანაწილების შესახებ,
2. მოხსენება მაზრაში მეფუტკრეობის და მის ხელშესაწყობად ქარხნის გახსნის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

სექციებში ჩაწერილ ყველა საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

**პრეზიდიუმი.**

# სამხედრო საქმე

## მანევრები.

ჩვენ ვიცით, რომ სამხედრო მომზადება და მომზადება სპეციალობისდა მიხედვით სწარმოებდა ზამთარში.

ზაფხულში მთელი ყურადღება მიქცეული იყო ტაქტიკურ მომზადებაზე, ე. ი. მეომრებს ასწავლიდენ მოქმედებას მინდვრად სხვა და სხვაგვარ საბრძოლო პირობებში.

აქ მხედველობაში მიღებული იყო ადგილმდებარეობაც, ამინდიც, დღე და ღამის დროც, ამოცანაც, რომელიც მიცემული ჰქონდა ამა თუ იმ ნაწილს.

მაგრამ მტრის მოქმედებას ჩვეულებრივად პირობითად ღებულობდენ, რომ ai მაგ. მტერი აპირებს ასე და ასე მოქმედებას, ან შეუძლია ასე იმოქმედოს და სხვა.

მაგრამ ნამდვილად კი ასეთი მოქმედება მტრის მხრივ არ ყოფილა. ეხლა, საერთო შეკრების პერიოდში, სწარმოებს ასეთივე ტაქტიკური მეცადინეობანი, მაგრამ ყველა გვარი იარაღის ჯარები აწარმოებენ ამ მეცადინეობას ერთად, თვითეული ასრულებს თავის ამოცანას, ეხმარება ერთი-მეორეს, რათა ბოლოს და ბოლოს საერთო ღონისძიებით მიაღწიონ საერთო მიზანს—ვსთქვათ დაიპირონ პოზიცია, რომელიც უკავია მტერს, ან და დაამარცხოს მისი ჯარი და სხვა.

ერთი სიტყვით ყველა მეომრებს ასწავლიდენ იმას, რის გაკეთებაც მათ მოუხდებოდათ სინამდვილეში, ომში. სწავლება მთავრდება მანევრებით.

ეს ისეთი მეცადინეობაა მინდორზე, როცა თვითეულ სამხედრო ნაწილმა, თვითეულმა მეომარმა უნდა გამოიჩინოს მთელი თავისი მომზადების შედეგები.

აქ ჩვენ უკვე გვაქვს ორი მხარე, ერთი-მეორის წინააღმდეგ, თითქოს ორი მტერი. თვითეულ მხარეს ეძლევა განსაზღვრული ამოცანა. მის ასრულების დროს რასაკვირველია ანგარიშში უნდა გაეწიოს მტრის მოქმედებას, მის ძალებს, მოცემულ ადგილმდებარეობას, ნამდვილ მანძილს, ამინდს, დღედაღამის დროს და სხვა. მოკლედ რომ ვსთქვათ ხდება ის, რაც სინამდვილეში, გარდა საბრძოლო სროლისა მტრის მიმართ. საბრძოლო სროლის მაგივრად სწარმოებს სროლა ამ ო ვაზნებით. მანევრებში ჩვეულებრივ შედიან ყველანაირი ბრძოლის სახე: მოძრაობა, დასვენება, ბრძოლა, მტრის შევიწროება და სხვა, მაგრამ ყველაფერი ეს უნდა სწარმოებდეს ისე, თითქოს ნამდვილად ხდებოდეს. აქ ჯარები აწარმოებენ ზვერვა-ძიებას, იჭერენ კავშირს, ეხამებიან ადგილს, ინიღბებიან და სხვა; ერთი სიტყვით აკეთებენ ყველაფერს, რაც კი უსწავლიათ.

ამრიგად მანევრებზე ჯარები და თვითეული ცალკე მეომარი იჩენენ თავიანთ წარმატებებს, როგორც თავიანთ სწავლის შედეგებს. რომ სწორად იქნას შეფასებული თვითეული ნაწილის მუშაობა და მაშასადამე, თუ რა ისწავლა მეომრებმა, თვითეული მანევრის შემდეგ სწარმოებს ამ მუშაობის გარჩევა მანევრის მონაწილეთა თანდასწრებით. აქ ირკვევა, იყო თუ არა სწორად გაცემული ბრძანება, თუ არა შეცდომებს ჰქონდა ადგილი, სწორად აასრულა თუ არა თავისი საბრძოლო ამოცანა ნაწილმა, თუ როგორ უნდა ასრულებულიყო ის და რატომ მაინცადამაინც ასე; როგორ მოქმედებდენ ამ ნაწილის მეომრები, რა მიღწევები ჰქონდათ მათ (მუშაობის კარგი მხარეები) ან პირიქით, რა ნაკლი და სხვა. ერთი სიტყვით ყველასა და თვითეულის მოქმედება ირჩევა იმიტომ, რათა გამორკვეულ იქნას სწორი მუშაობა და ამით ისწავლონ და გამოიყენონ ცოდნა მომავალ დროისთვის. მანევრებზე დაშვებული შეცდომებიც სასარგებლო იქნება ჩვენთვის: მათი გარჩევის დროს თვითეული მეომარი დარწმუნდება, თუ რა მოყვება ასეთ შეცდომას და მომავალში, ნამდვილ ბრძოლაში, უეჭველია, არ გაიმეორებს მას.

პ.

# მომავალ ტერშეკრებისათვის.

### ჯავშნოსნებისა და ტანკების საბრძოლო მუშაობა.

ძველ დროში ადამიანი ცდილობდა გამოეყენებია ომში მანქანები, რათა ცოცხალი ძალები შეენახა. თავდაპირველად ეს იყო ეტლები, რომლებშიაც თავსდებოდენ მეომრები, შემდეგ შემოიღეს კოშკები, რომლებშიაც მეომრები აფარებდენ თავს შუბებსა და ისრებს; ამ კოშკებს მისწევდენ ციხე-სიმაგრეების კედლებთან იერიშის დროს.

ბოლოს, ჩვენს დროს შემოღებულ იქნა ჯავშნოსნები, ჯავშნიანი მატარებლები და ტანკები.

მათი მთავარი მნიშვნელობა იმაშია, რომ მათ სწრაფად და ახლოს შეუძლია მტერთან მისვლა და მის წინააღმდეგ სროლის წარმოება. ვინაიდან ისინი შემოკრული არიან ჯავშნით, რომელსაც ვერ ავნებს თოფის ტყვია, ამიტომ მათ შეუძლიათ ძნელი მუშაობის ასრულება სრულიად უშიშრად და დაუზიანებლად.

ყოველ ამ ჯავშნოსანთაგანს აქვს თავისი ნაკლულევანება და დადებითი მხარე.

ჯავშნოსანს (ავტო-ჯავშნოსანს) შეუძლია მოძრაობა კარგ გზასა და მაგარ ხიდეებზე. ტალახში ან რბილ შარაგზაზე ისინი უმწეონი არიან. დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ სამოქალაქო ომში, განსაკუთრებით ბრძოლაში ქუჩებზე. ხშირად ჯავშნოსანი კავშირის ერთ-ერთი საშუალებათაგანია იმ რაიონებში, რომლებიც გარშემორტყმული არიან პარტიზანებით.

ჯავშნოსანს ეშინია არტილერიის, ხელით სატყორცნი გრანატისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლის. მარჯვედ ნასროლი ყუმბარა მას უცებ აფუჭებს. რამოდენიმე, ერთად შეკრული ხელით სატყორცნი გრანატა, თუ ის შესროლილი იქნება მარჯვედ ჯავშნოსანს ქვეშ, აზიანებს მას. ჯავშნოსნის ჭუჭრუტანებში მარჯვედ მიმართული ტყვიამფრქვევის ცეცხლი ანადგურებს ცოცხალ ძალებს, ე. ი. შიგ მომუშავე მებრძოლებს და ამრიგად უვნებელყოფს მანქანას. ხოლო თუ კი ხელთ გვექნება ჯავშნის გამგმირავი ტყვიები, იმ შემთხვევაში დიდი ძნელი საქმე არ იქნება ჯავშნოსნის მოქმედების შეჩერება.

საერთოდ ჯავშნოსნის გამოჩენა ძლიერ შდაბეჭდილებას ახდენს მოპირდაპირის ჯარზე, ახდენს მასში არევდარევას, რაიც თავდება პანიკით.

მაგრამ თუ ნაწილები მომზადებული არიან და იციან, თუ როგორ უნდა ებრძოლონ მათ, ჯავშნოსანი იმ შემთხვევაში საშიში აღარ იქნება.

ჯავშნიან მატარებლებს შეუძლია მოქმედება მხოლოდ განსაზღრულ მიმართულებით, ვინაიდან ის მიმაგრებულია ლიანდაგზე. სამოქალაქო ომში მას დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც შესაძლებელია თავდასხმა მოხდეს რკინისგზების რაიონებში. მათ წინააღმდეგ ბრძოლის ზომები იგივეა, რაც ჯავშნიან ავტომობილებთან მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჯავშნოსან მატარებელს ადვილად შეიძლება გადაუჭრა უკან დსახევი გზა და მოუსპო მოქმედების საშვალება.

გზის გასწორებას დიდი დრო დასჭირდება, მანამ კი მატარებელი შეუძლია დაამსხვრიოს არტილერიამ.

ბოლოს ტანკების შესახებ. ეს არის მანქანა, რომელსაც ბორბლების მაგივრად აქვს გაშემო სარტყელი მაგრად შეკრული ფოლადის მოძრავი ფირფიტები. ეს ფოლადის ფირფიტები ბრუნავენ ტანკის გარშემო და მოყავთ ის მოძრაობაში. ამ ფირფიტების წყალობით, ტანკას შეუძლია იმოძრაოს უგზოდ, თხრილებზე, ორმოებზე, ბორცვებზე, დაქანებულ ადგილებზე მავთულ ხლართებზე და სხვა.

მტრის სანგრებთან ახლოს ტანკა გაუშვებს საშინელ ცეცხლს სანგრების გასწვრივ და დიდი ზარალის მიყენება შეუძლია მტრისადმი. სანამ ტანკების ერთი ნაწილი ამ საქმეს აკეთებს, მეორე ნაწილი მიემართება მტრის ზურგისკენ და ყველგან ჯოჯოხეთურ ზარალსა და შიშის ზარს ჰქმნის. ჩვეულებრივად ტანკებს უკან მიჰყვება ქვეითი ჯარი, რომელიც საბოლოოდ იჭერს და ამაგრებს დაკავებულ ადგილს. მაგრამ ტანკას ძალიან ეშინია არტილერიის, რომელიც ერთის დაკვრით აფუჭებს მას.

ამრიგად ჯავშნოსან ნაწილებს თუმცა დიდი საბრძოლო თვისებები აქვთ, მაგრამ გამბედავი, შეუდრეკი და გამოცდილი მეომრისთვის ისინი საშიში არ არიან.

პ.

# უცხოეთის არმიებში.

**ინგლისის ესკადრის მარცხი ბალტიის ზღვაზე.**

ინგლისის ესკადრა, რომელიც შესდგებოდა 2 მსუბუქ კრეისერებისა და 5 ესმინელთა ფლოტილიისაგან, ესტონეთის, ფინეთის, ლატვიისა და პოლონეთის ნავთსადგურების დათვალიერების შემდეგ, 11 ივლისს გავიდა ბალტიის ზღვიდან.

გზაში ერთი ნაღმოსანი სრული გაქანებით მანევრების დროს შეეჯახა ახლოს მიმავალ სამგზავრო გემს, რომელიც გაყვანილ იქნა ნაპირისაკენ მარქაფით.

**ფლოტი და ფაშისტები.**

ინგლისის საადმირალოში უკანასკნელ დროს მიღებულ იქნა შეკითხვების მთელი რიგი ფლოტის ოფიცრებისა და მეზღვაურების ბრიტანეთის ფაშისტების პარტიაში შესვლის უფლებათა შესახებ. ამის გამო გამოქვეყნებულ იქნა ბრძანება ფლოტისადმი, რომელშიაც ცნობილია არასასურველად მომქმედი ფლოტის ოფიცრებისა და მეზღვაურების რაიმე ორგანიზაციაში შესვლა, რომელიც კი ისახავს პოლიტიკურ მიზნებს.

იმავე დროს მითითებულია, რომ ასეთსავე ორგანიზაციად სამხედრო სამსახურის პირობებში შეიძლება ჩაითვალოს ფაშისტების პარტია.

**მოსახლეობის მოწამლვა გაზებით.**

საფრანგეთის ქალაქ ანიმასის მოსახლეობამ ამ დღეებში იგემა ქიმიური ომის „სიმშვენიერე". ანიმასის სადგურში გასქდა სითხისნაირ ქლორის ბალონები და ერთ ტონაზე მეტი რაოდენობით გავრცელდა ქალაქში. მოწამლულთა რიცხვი ასობითაა, მათ შორის 50 კაცი მძიმე მდგომარეობაშია. აფეთქების მიზეზები გამოურკვეველია.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## აფხაზეთის ტერასეულის ცხოვრე-ბიდან.

ჩვენი ასეულის ყოფა- ცხოვრება დღითი დღე უმჯობესდება. ცვალებადი შემადგენლობა, გულწრფელად და გაასკეცებული ენერგიით ეკიდება სამხედრო და პოლიტ-ცოდნის შეძენის საქმეს.

მათ კარგათ შეიგნეს წითელი ჯარის ტერიტორიალური სისტემაზე გადასვლის მნიშვნელობა და მისი დადებითი მხარეები ჩვენს პოლიტიკურ ეკონომიურ ცხოვრებაში.

—ტერ იტორიალური მშენებლობა ეს საბჭოთა ხელისუფლების ახალი მიღწევაა, ეს გლეხობასთან კავშირის განმტკიცებაა, ეს მშრომელი ხალხის გამარჯვების და საბჭოთა კავშირის განმტკიცების ნაყოფია, —გაისმის ტერ-არმიელებს შორის ლაპარაკი.

აფხაზეთის მშრომელი ხალხი ოცტაცებით უყურებს თავის თავისუფალ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების ამ ახალ მიღწევას. ადგილობრივი ხელისუფლება საკმაო დახმარებას გვიწევს ჩვენ მუშაობაში.

ჩვენ ასეულში ათი ეროვნების ხალხია.

მაგრამ ამ სხვა და სხვა ეროვნების წითელ არმიელთა შორის ძმური სიყვარული არსებობს.

სხვა და სხვა ნაციის ტერ-არმიელები ერთმანეთს უხსნიან სხვა და სხვა კითხვებს, არის მათ შორის გაცხოველებული სჯა-ბაასი.

— დაგვიდგა თავისუფლების განთიადი, რა მდგომარეობა სუფევდა მეფის და გახრწნილი მენშევიზმის ბატონობის დროს? შუღლი და მტრობა, —გაიძახის ერთი ცვალებადელი.

— ეხლა კი რას ვხედავთ? თანასწორობას და სიყვარულს ნაციებს შორის,—ისმის მეორე ცვალებადელის ხმა.

— საბჭოთა კავშირი ეს თავისუფალ ერთა კავშირია, ეს განსახებაა შრომის, რომლის წინ თრთის და კანკალებს მსოფლიო ბურჟუაზია,—გაიძახის მესამე ცვალებადელი.

ტანისამოსის და სურსათ-სანოვაგის საკითხი ასეულში მოგვარებულია. მეთაურები და ტერ-არმიელები ხალისიანათ ეკიდებიან თავთავიანთ საქმეებს, დიდათ დაინტერესებული და ჩაბმული არიან პარტპოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობაში. პოლიტ-მომზადების მხრით ასეულის ცვალებადი შემადგენლობა დაყოფილია ორ ჯგუფათ: რუსული და თათრულ ჯგუფათ, სადაც პოლიტ-მეცადინეობა ტარდება რუსულ და თათრულ ენაზე.

ხელმძღვანელები გამოყოფილია და სწარმოებს დაუღალავი მომზადება.

წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია სისტემატიურად სწარმოებს. ლიკვიდაცია სწარმოებს რუსულ ენაზე.

პოლიტხელი ა. გვასალია.

## ჩვენი ათასეული სოფლად.

### მე 5 ლეგიონი.

მე-5 ლეგიონის მე 3 ათასეული მთელი თავისი ენერგიით მიისწრაფის სოფელთან კავშირის გასამტკიცებლად. ათასეული აწყობს სოფლად სხვა და სხვა საუბრებს, უხსნის გლეხობას ტერ სისტემის მნიშვნელობას. ღარიბ ცვალებად შემადგენლობის წითელ ლაშქრელებს ყოველ კვირაობით ეხმარება ყანის დამუშავებაში.

30 ივლისს ათასეული გაემგზავრა მთელი შემადგენლობით და ორკესტრით სოფელ №-ში მის შეფის ქვეშ ასაყვანად.

გახსნა ამ სოფელში სამკითხველო. შესაფერისად და მოაწყო ის წიგნებით და პლაკატებით. ადგილობრივი მცხოვრებლები დიდი სიხარულით შეხვდენ ჩვენ საქმიანობას და დიდი მადლიერი არიან წითელი ჯარის.

სამხკორი ყულისკარელი.

## განაკის ცხოვრება და მუშაობა

### ძალიან შეგვიწყვეს ხელი.

ქართულ სამხედრო პოლიტ-სკოლა, როგორც ახლად დაარსებული, არ არის ისე მოწყობილი, როგორც შეფერის სკოლას, მხოლოთ ბანაკათ გასვლის შემდეგ ეს მოუწყობლობა სულ არ გვიგრძვნია.

ჩვენი სკოლის მეზობლად სდგას არმიის პოლიტ-სკოლა რომელიც ყოველ მხრივ მოწყობილია.

ბანაკში ჩამოსვლისთანავე სკოლასთან გავაბით კავშირი. სკოლა დიდ დახმარებას გვიწევს, რაიც გამოიხატება სხვა და სხვა წრეების მეცადინეობაში.

აგრეთვე დიდ ხელმძღვანელობას გვიწევენ სპორტ ვარჯიშობაშიც.

მათ აქვთ საუცხოვოდ მოწყობილი კლუბი სადაც შეერთებული ძალით ხშირათ ვმართავთ საღამოებს, რასაც ესწრებიან გლეხები. აგრეთვე სხვა კლუბებშიც ვაწყობთ საღამოებს.

აქვთ კინოს აპარატი და ძალიან ხშირად გვაჩვენებენ სხვა და სხვა სურათებს.

კინოს სოფლის ხალხიც ესწრება და ძალიან კმაყოფილი რჩება.

ამ სკოლის უფროსი კურსის კურსანტების გამოშვება ამ დღეებში ხდება ამიტომ სკოლა პირველ აგვისტოს გავიდა ბანაკიდან, რამაც ძალიან დაგვალონა.

ჩვენც ადრე წავალთ ქალაქში და კვლავ განვაალებთ მათთან ისეთ ძმურ კავშირს, როგორც აქ გვქონდა.

კურსანტი აქ. უ-უშაძე.

## ვემზადებით საერთო ტერ-შეკრე-ბისათვის.

### მეექვსე ტერ-ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონი შეუდგა წინასწარ სამზადისს ახალწვეულების ღირსეულად შესახვედრათ.

ლეგიონის პარტიული ორგანიზაცია, კლუბი და ბიბლიოთეკა გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ თავ-თავიანთ დარგში.

კომუჯრედის კრებაზე განხილულ იქნა სამოქმედო გეგმა ტერ-შეკრების ღირსეულად ჩატარების შესახებ, სადაც კლუბს, სამკითხველოს ბიურო-კოლექტივს და აგრეთვე თვითეულ პარტ-ამხანაგს მიეცა შესაბამისი დავალებები. 15 აგვისტოდან ლეგიონის ყველა პუნქტებზე გაგზავნილი იქნებიან პარტ-ამხანაგები, რომლებიც ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და პროფ-ორგანიზაციებთან ერთად ჩაატარებენ აგიტ-კამპინებს სოფლის გლეხობის ფართო მასაში ტერ-შეკრების მნიშვნელობის და წითელი ჯარის მნიშვნელობის შესახებ.

ადგილობრივად მთელი ლეგიონის შემადგენლობა უნდა ჩავაბათ მუშაობაში, განსაკუთრებით საჭიროა 1902 წელში დაბადებულთა ჩაბმა და ყოველივე აგიტ-კამპანიებში მათი მონაწილეობის მიღება.

#### კლუბი.

ჩვენი ლეგიონის კლუბიც მთელი თავისი აქტივით ემზადება 1901 წელში დაბადებულ ცვალებადელთა შესახვედრათ.

მზადდება შესაფერისი პლაკატები და ლოზუნგები ტერ-შეკრების მნიშვნელობის და წითელი არმიის დანიშნულების შესახებ. ეწყობა მათი შესახვედრი სადღესასწაულო საღამო, სადაც დაიდგმა რ ვოლიუციონური შინაარსის და წითელი ჯარის ცხოვრებიდან პიესები.

ლეგიონის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიას განზრახული აქვს ახალწვეულების შესახვედრათ გამოუშვას კედლის გაზეთის „ხმა მე 6-სე ტერ-ლეგიონერისა“-ს სპეციალური ნომერი.

#### ბიბლიოთეკა.

ლეგიონის ბიბლიოთეკაც აწარმოებს მზადებას ახალწვეულების შესახვედრათ. ხდება წიგნების გადარჩევა, რათა თვითეულ წითელ-ჰოლაშქრეს საშუალება მიეცეს მისი გაცნობის და ახალწვეულ ცვალებადელზე გადაცემისა.

მიღებულია ყოველგვარი ზომები, რათა ბიბლიოთეკა-სამკითხველოში არსებული სხვა და სხვა ნაციონალურ ენებზე წიგნების და გაზეთების რიცხვი იქნას გადიდებული.

სამხკორი ნ. ასათ ანი.

## სადილის გაცემა მოგვარებულ უნ და იქნას.

### მე-2 ქართ. არტლეგიონი.

ჩვენს არტლეგიონის პირველ ბატარეის სამზარეულოში ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება.

სამზარეულოში თუ იმ დროს არ მიდი, როცა ეს იქაურ მოსამსახურეებს სურთ, ისე სადილს ვერ მიიღებ. ხშირად ხდება, რომ რაიმე საქმეების გამო დაგაგვიანდა, ამის გამო მიდიხართ სასადილოში დაგვიანებით. სადილს აღარ გაძლევენ.

გულმოსულად გეტყვიან: კერძი წაღებული გაქვსო. ხშირად წითელ არმიელებს მარტო პურზე უხდებათ გადასვლა. დილას ხედავთ, რომ გუშინდელ დარჩენილ სადილს ორმოში უძახებენ.

მიაქციეთ ამას ყურადღება და საქმეების გამო დაგვიანებულად მისულ არმიელს მიეცეს თავისი ხვედრი კერძი.

წით. არ. ლ. გვაზავა.

## სროლაში გავიმარჯვეთ.

### მეთაურთა გაერთიანებული სამხ. სკოლა.

დილაა... ამოკითხვა გათავდა. ყველანი მზად ვართ. ისმის შეკრების ნიშანი, რის შემდეგ მთელი სკოლა გამოდის მწყობრათ სამხედრო სკოლების მოედანზე. აქ თავმოყრილნი არიან სხვა სკოლებიც, ცოტა ხნის შემდეგ მოგვესალმა სკოლების ინსპექტორი ამხ. ტალახაძე.

აქ არის უფროს მეთაურთა შემადგენლობაც. ყარეს კენჭი და შეხვედრის თანახმად გამოიყვანეს სკოლების თითო ასეულებიდან თითო მსროლელი ოცეულები, დანარჩენები კი დაბრუნდენ ასეულებში. გაისმის ძახილი: სმენა! ნაბიჯით იარ! წინ მიგვიძღვის მუსიკა მარშით, მის უკან რუსული სკოლა, შემდეგ ქართული, სომხური და აზერბეიჯანის. ისმის სიმღერა ნაციონალური ენებზე. ასე მხიარულებით მივდით სასროლო მოედანზე.

კვლავ განკარგულება:—ოცეულების მეთაურები ჩვენ თან, — მეთაურები მიდიან.

მიიღეს სროლის ამოცანა, მისი წესრიგის შინაარსი და გადმოგვცეს ჩვენც. ჩამოვარდა სრული სიჩუმე. ისმის დაწყების ნიშანი. ჩვენც მზათ ვართ და ყველანი დიდის ხალისით და მონდომებით გავეშურეთ ამოცანის შესასრულებლათ.

ისმის მეთაურების განკარგულება: გადარბენა ამა და ამ ზღუდემდე, ცეცხლი ამა და ამ მიზნებზე და სხვა...

ატყდა სროლა, ჯერ მძიმე ტყვიამფრქვევებიდან შემდეგ მსროლელი ათეულებიდან. სროლამ გასტანა ათი წუთი. ისმის ისევ შეწყვეტის ნიშანი. ჩვენც შევწყვიტეთ და ისევ მწყობრათ, სიმღერით და მხიარულათ დავბრუნდით ჩვენ— ჩვენი ბანაკში. საღამოს კომისიის მიერ გამოირკვა, რომ ოცეულებს შორის შეჯიბრებაში ყველაზე მეტი დაეზიანებია ქართული სკოლის ოცეულს, მხოლოდ სკოლების შორის კი აზერბეიჯანის სკოლას. კომისია უსურვებს გამარჯვებულ ამხანაგებს, რომ ისინი მუდამ ასე გამარჯვებულნი გამოსულიყვნენ ყოველ გვარ ბრძოლიდან მუშათა კლასის საკეთილდღეოდ.

სამხკორი რაფქორი.

## მეორე ათასეული ექსკურსიაზე.

### მე-4 ლეგიონი.

2 აგვისტოს, დილის ცხრა საათზე, მეორე ათასეული გაემგზავრა ელექტრონის სადგურის დასათვალიერებლად.

სადგურში მუშები დიდის სიხარულით შეგვეგებენ.

სადგურის უფროსი ტეხნიკი გაგვიძღვა წინ და დავათვალიერებია სადგური. აგვიხსნა სათითაოდ ყოველი მანქანის მნიშვნელობა და სხ. ელექტრონულ სადგურის შემდეგ დავათვალიერეთ წიგნის მაღაზია. აქ სხვა და სხვა შინაარსის წიგნებით ვიქნებით დასაჩუქრებული. აქედან ვეწვიეთ რკინის გზის ბიბლიოთეკას. აქ დაგვხვდენ რკინის გზელები, რომელთაც ჩვენი მისვლა ძალიან ესიამოვნათ.

ბიბგამგემ მოხსენება გააკეთა წიგნის მნიშვნელობის შესახებ. ექსკურსიით წითელ არმიელები კმაყოფილნი დარჩენ.

უმფროსი მეთაური ე. დოლიძე.

## ჩვენი ბიბლიოთეკის მუშაობა.

### მე-4-ე ლეგიონი.

ორი-სამი თვის წინად მეორე ათასეულში საბიბლიოთეკო მუშაობა ძალზედ მოიკოჭლებდა.

ბიბლიოთეკას არ ქონდა შესაფერი შენობა, არ იყო ტეხნიკურად მოწყობილი არ ქონდა კარგი კავშირი სხვა ბიბლიოთეკებთან და წითელ არმიელებთან და სხვა.

ამ ბოლო ხანებში ეს დეფექტები გამოსწორებული იქნა.

გადავედით კარგ შენობაში, აღდგენილია კავშირი სხვა ბიბლიოთეკებთან.

გამოყოფილია ბიბლიოთეკის მეგობართა აქტივი, ტარდება სისტემატიურად ხმა მაღალი კითხვა.

იგზავნება ასეულებში კოლექტიური აბონიმენტით წიგნები 10 დღის ვადით.

მკითხველთა რიცხვი თანდათან იზრდება, გვაქვს მჭიდრო კავშირი ქ. № რკინის გზის ბიბლიოთეკასთან.

ეგზავნება მას კოლექტიური აბონიმენტით წიგნები, იქედანაც ვღებულობთ სათანადო წიგნებს. ეწყობა ბიბ. ექსკურსიები და სხვა.

სამხკორი ი. გურგენიძე.

## მოგვეცით პირის საპარსი დანა.

მე-5 ლეგიონის 1-ლ ათასეულში გვაქვს მხოლოდ ერთი სამართებელი, რომელიც თავის მჭრელობით დიდათ არ განსხვავდება პურის საჭრელ დანისაგან. ამ დანას ხან ერთი ასეული ექიჩავება, ხან მეორე და ხან მესამე.

ერთი დანა ყველას არ ხვდება და არის ერთი აურზაური ამ ნიადაგზე.

წითელ არმიელები იძულებული ვართ კერძო დალაქთან ვიპარსოთ წვერი. ამხ. სამნეო ნაწილის უფროსო, კვირაში ერთხელ გალესეთ ეს დანა ასეულზე თითო დანა მაინც მოგვეცით.

ალ—ჯო.

## სანიტ საუბარი ჩვენთან.

### ხაარტ. ლეგიონი.

სხვა საგნებთან ერთად სანიტარული მეცადინეობაც კარგად მიმდინარეობს ჩვენთან. ეს საგანი წითელ არმიელებს დიდათ აინტერესებს. ამას წინად ექიმ ამხ. მახვილაძემ აგვიხსნა სხვა და სხვა ბაცილების მოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე. დიდხან გვესაუბრა მალარიაზეც. შემდეგ გვიჩვენა მიკროსკოპი და დეტალურად აგვიხსნა მისი მნიშვნელობა ავადმყოფობის გამოცნობის ბაცილების საკითხში. მიკროსკოპის საშუალებით გაგვასინჯია სისხლი. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამხანაგებზე.

სასურველია ამხ. ექიმი ხშირად გამართავდეს ასეთ საუბრებს.

სამხკორი შალვა ბურკაძე.

## ენერგიულად ვმე ცადინეობთ.

### 1-ლ ლეგიონი.

პირველი ასეული შესდგება სხვა და სხვა ეროვნების წითელ არმიელებისაგან. არმიელებს შორის არსებობს ნამდვილი ძმური კავშირი. თვითეული წითელ არმიელი ცდილობს რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინოს. მეცადინეობა ყოველ დარგში სისტემატიურად სწარმოებს. ხშირად იმართება საუბრები სხვა და სხვა თემებზე, და თუ რა უნდა აკეთონ მათ სოფლად. ძველი წითელ არმიელები გაათკეცებულ ენერგიით მეცადინეობენ.

წით. არ. იონა კორძახია.

# პარტიული ცხოვრება.

## მე-5- ლეგიონის 1-ლ ათასეულის კომუჯრედში.

1-ლ აგვისტოს მოხდა 1-ლ ათასეულის კომუჯრედის გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო, როგორც სამოქალაქო ორგანიზაციებისაგან მომაგრებული ამხანაგები, ისე ყველა კომკავშირის და პოლიტ-წრის წევრები. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1. მოხსენება საქართველოს ცაკის უკანასკნელ სესიის მუშაობის შესახებ, 2. საშეფო კომისიის არჩევა, 3. ანკეტების განხილვა და მიმდინარე კითხვები. 1-ლ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ანდღულაძემ, რომელმაც განუმარტა კრებას სესიის ყველა დადგენილებები. მოხსენების გარშემო იყო მრავალი შეკითხვები: მოხსენებამ ცოცხალი კამათი გამოიწვია ამხ. შორის. იქნა გამოტანილი შესაფერი რეზოლიუცია. საშეფო კომისიის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა კლუბის გამგემ ამხ. ლაღაძემ. არჩეულ იქნა ხუთი კაცისგან შემდგარი კომისია, რომელსაც კრებამ დაავალა აიღოს შეფობა ერთ ერთ ახლო მდებარე სოფელზე, და გაეწიოს მას იდეური და მატერიალური დახმარება, რის საშვალება უნდა გამონახოს თვით კომისიამ. გაირჩა სამი ამხანაგის კანდიდატობიდან პარტიაში გადარიცხვის შესახებ შემოტანილი განცხადებები. კრებამ სამივე ამხანაგი გადარიცხა პარტიაში, საერთო წესით. მიმდინარე კითხვებში გაირჩა სხვა და სხვა ადგილობრივი საჭირბოროტო კითხვები, რის შემდეგ კრება დაიხურა.

პარტკორი ალგიჯო.

## ახკომკავშირელთა შორის.

ქართულ მეთაურთა სკოლის მე-3 ასეული.

7 აგვისტოს შესდგა ქართულ მეთაურთა სკოლის მე-3 ასეულის ა.ლ.კ.კ. ღია კრება. კრებას კავშირის წევრების და პარტ. ამხანაგების გარდა, დაესწრენ უპარტიო ამხანაგებიც. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1 ძველი ბიუროს მოხსენება, 2. ახკორების არჩევა და 3. მიმდინარე საკითხები პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ძველი ბიუროს მდივანმა ამხ. გაპისონიამ, რომელმაც ვრცლად გააშუქა თუ რა გააკეთა ძველმა ბიურომ საბანაკო პერიოდში, ე. ი. 2 ნახევარ თვის განმავლობაში.

ამ ხნის განმავლობაში ბიუროს მოუწვევია 5 კრება, ჩაუტარებია ერთჯერ ინსცენიროვკა და მოუწყვია ერთჯერ გასამართლება. სოფელთან ბიუროს ქონია კარგი კავშირი, რაიც გამოიხატება ინსცენიროვკების დადგმაში, საუბრების ჩატარებაში, მოხსენებების გაკეთებაში და სხვა.

კრებამ ძველი ბიუროს მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად. მოხსენების შემდეგ კრებამ აირჩია ორი ახკორი. უსურვებთ ახალ ბიუროს და ახკორებს ენერგიულ მუშაობას.

ახკორი ა. რუხაძე.

## ენერგიული მუშაკი.

ქართულ ცხენოსანთა ლეგიონში განსაკუთრებით შესანიშნავია მე-2 ესკადრონი. არა ერთხელ და ორჯერ უთქვამს ლეგთავს, რომ მეორე ესკადრონი მთელს ლეგიონში პირველი არისო და ამით შეიძლება ამაყობაო.

ამ ესკადრონის თავის სიმაღლეზე დაყენება მიეწერება ამხ. ვახტანგაძის ენერგიულ და დაუღალავ მუშაობას.

ამხ. ვახტანგაძე ცდილობს წით. არმიელებს მისცეს როგორც სამხედრო ცოდნა, ისე პოლიტიკურიც. იგი არ შურავს თავის ძალღონეს და თავისუფალ დროს ყოველთვის მეცადინეობს მათთან.

ვაძლევთ მხედრულ სიტყვას, რომ მისი ყოველი კანონიერი დავალება შევასრულოთ პირნათლად და გაუმართლოთ მას ის იმედები, რომელსაც ამყარებს ჩვენზე პროლეტარიატის საქეთილდღეოთ.

წ. არმიელი ხეთელი.

## საჭიროა წვრილფეხა სპეკულიანტების ალაგმვა.

ჩვენი ბანაკის ირგვლივ წვრილმა მოვაჭრეებმა გაალეს სავაჭროები. მოაქვთ უვარგისი სურსათ-სანოვაგე, ღვინოები და დამპალი ხილეულობა და ასაღებენ წითელ არმიელებზე.

წითელ არმიელები ხარბად ეტანებიან ამას და ხდებიან ავად.

ნაწილებში უკვე სხვა და სხვა სენმა იჩინა თავი, როგორიცაა, მაგ. მუცლის ტკივილი და სხვა.

საჭიროა დაუყონებლივ მიექცეს ამას ყურადღება და ალაგმულ იქნენ ეს ვაჟბატონები ბანაკიდან.

ახკორი „დუ-შაში.

## ჩვენც შევისწავლეთ წერა-კითხვა.

1 ლი ლეგიონი.

მერვე ასეულის წითელ არმიელების უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ.

მასწავლებლების და პოლიტხელების მეცადინეობით ჩვენ ძალიან ადრე შევისწავლეთ წერა-კითხვა.

არ გვჭირდება ხვეწნა სახლში წერილის დასაწერად. ჩვენ თვითონ ვსწერთ ჩვენს მშობლებს.

ჩვენ ეხლა იმდენად მომზადებულად ვგრძნობთ თავს, რომ შეგვიძლია სოფლად წასვლის დროს აუხსნათ ჩვენს მეზობლებს ისეთი საკითხები, როგორც კოოპერაციის და ქოხ-სამკითხველოს მნიშვნელობა.

სამხკორი პ. ზაქარიაძე.

## ფიცხი მეკუჭნავე.

მე-2 ბატარეა.

მე-2 ბატარეას ძალიან ფიცხი ხასიათის მეკუჭნავე ყავს. თუ რაიმე საქმეზე მივიდა მასთან წითელ-არმიელი, ის ამით უკმაყოფილო ხდება და წითელ არმიელს ისტუმრებს უწმაწური სიტყვებით ამ დღეებში ასეთ შემთხვევას ქონდა ადგილი. მიდის მასთან წითელ-არმიელი მარუქაშვილი და სთხოვს საცვლებს. მომშორდი აქედან,— უყვირის მეკუჭნავე,— მე შენი წვირიანი საცვლების შესანახად არ მცალიანო და სხვა. წითელ-არმიელს მართლადაც უხდება დიდ ხანს „წვირიანი“ საცვლების ტარება ფიცხი მეკუჭნავეს წყალობით. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და მეკუჭნავის სიფიცხე ცოტა დაწყნარებულ იქნეს.

წითელ-არმიელი წყილა.

## ნაწილების წერილებიდან.

## ვიმსჯელეთ შინაურ საქმეებზე.

მეოთხე ლეგიონი.

2 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, შესდგა უფ-პოლიტ შემადგენლობის კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება ათასეულის მდგომარეობის შესახებ, 2. სარედაქციო კოლეგიის მოხსენება და 3. ცნობათა ბიუროს ჩამოყალიბება.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გაბუნია, რომელიც აცნობს კრებას თუ ათასეული დღემდი რა მდგომარეობაში იყო და ეხლა რა მდგომარეობაშია, რა დახმარება გაუწია მის მოსაწყობად ლეგიონმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

სარედაქციო კოლეგიის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდის სარედ. კოლ. თავმჯდომარე ამხ. სისაური, რომელიც აცნობს კრებას სარედ. კოლეგიის მუშაობას.

მესამე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კაკაბაძე, რომელიც უხსნის კრებას თუ როგორ უნდა იქნეს მოწყობილი ცნობათა ბიურო და რა მნიშვნელობა აქვს მას წითელ არმიელებისთვის.

შემდეგ კრება ცნობათა ბიუროში ირჩევს: 1. პოლიტ შემადგენლობიდან ამხ. კაკაბაძეს, 2. მეთაურთა შემ. ამხ. ძიძიგურს, 3. ძირედ. წითელ არმ. შემ. ამხ. მანთაშაშვილს, 4. ც. წითელ არმ. ამხ. ვეშაპიძე და 5. ადგილობრივ სახალხო მოსამართლეს ამხ. კიკნაძეს.

სამხკორი იონ. გ—ძე.

## დრამ წრე.

მე-5-თე ლეგიონის მე-3-მე ათასეულის დრამ-წრემ თავის ძალებით დაიწყო წარმოდგენების გამართვა. დრამ წრეში მონაწილეობას ღებულობენ წითელ არმიელები. დადგმული იქნა წარმოდგენა „რევოლიუციის მოლოდინში“ და „სიკვდილით დასჯა“, რაც მოთამაშეების მიერ კარგად იქნა ჩატარებული. წარმოდგენაზე დაესწრო აუარებელი ხალხი სამოქალაქოორგანიზაციებიდან და ადგილობრივი მცხოვრებლებიდან.

სამხკორი ყულისკარელი.

## საქსოვ ქარხნის დათვალიერება.

მე-5 ქართულ მსროლელ ტერ-ლეგიონის სკოლის კურსანტებმა შაბათს 1 აგვისტოს დავათვალიერეთ ქუთაისის მაუდის საქსოვი ქარხანა.

ქარხნის მუშები დიდი სიხარულით შეხვდენ წითელ არმიელებს.

კურსანტებიც დიდი ალტაცებით და დაკვირვებით ათვალიერებდენ მანქანებს და სცდილობდენ, რათა მიეღოთ ახსნა განმარტება დაზგასთან მომუშავე მუშისაგან ამა თუ იმ მანქანის და დაზგის მნიშვნელობის შესახებ.

საჭიროა ასეთი ექსკურსიები მოეწყოს ხშირად, რადგან ამას დიდი ნაყოფი მოაქვს ჩვენთვის ტეხნიკის გაცნობის საქმეში.

სამხკორი ნ. ქუთათელაძე.

## მეცნიერება და ტეხნიკა

შედეგები საომარი აირებით მოწამვლისა.

პროფესორი სერჟანმა გააკეთა მოხსენება სანიტარულ ცოდნის ინსტიტუტში თავის დაკვირვებათა შესახებ იმ ავადმყოფებზე, რომლებიც იყვნენ მოწამლული აირით აიროვან იერიშების დროს.

ამ მოწამლის შედეგები, თუ ავადმყოფი არ კვდება მაშინვე, აჩნდება უმთავრესად სასუნთქავ ორგანოებს. ავადმყოფი კარგავს შრომის უნარიანობას ფილტვების ქრონიკული, ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, რომელიც ხშირად არ რჩება. ეს ავადმყოფობა ადვილად შეიძლება შერეულ იქნას ფილტვების სხვა ქრონიკულ სენთან—ტუბერკულიოზთან. მასთან სდევს ხველება, სისხლის ან სისველის ამოღებით.

ცვლილებები, რომელთაც აქვთ ამ დროს ადგილი, ატარებენ ხასიათს ქრონიკული ბრონქიტისა ან ფილტვების ქრონიკულ ანთებისა. ხშირად ფილტვების ქსოვილი ამ დროს იარებით ივსება და ჩნდება პატარ პატარა სიღრუეები. თუ ავადმყოფობამ მშვიდობით ჩაიარა ფილტვების ქსოვილები ღრუიანდება და სწყვეტს მონაწილეობის სუნთქვაში.

ავადმყოფობა იღებს ქრონიკულ და ცუდ თვისებიან მსვლელობას იმ პირებში, რომელთაც რამოდენიმეჯერ მიუღიათ მონაწილეობა აიროვან ბრძოლაში.

ასეთი, თუ ისეთი მიმდინარეობა ავადმყოფობისა დამოკიდებულია აგრეთვე ავადმყოფის ჯანმრთელობაზე, მოწამვლის ხარისხზე, ცხოვრების პირობებზე, ტუბერკულიოზის ნიშნების არსებობაზე ავადმყოფში და სხ.

თამბაქოს წევა მეტად მავნებელია და იწვევს ავადმყოფობის გართულებას.

ზოგიერთ შემთხვევებში მოწამლვას შეუძლია განავითაროს ტუბერკულიოზი, თუ მისი ნიშნები ფორმებში აქვს ავადმყოფს. საერთოდ გამოცნობა ქრონიკულ მოწამლისა და ფილტვების ტუბერკულიოზიდან მეტად ძნელია.

გარდა ფილტვების დაავადმყოფებისა, მოწამლას შეუძლია გამოიწვიოს ქრონიკული პლევრიტი.

რაც შეეხება აირებს, რომლებიც არიან მიზეზი ასეთი ავადმყოფობის, ყველაზე მეტი დამსახურება ამაში მიუძღვის ორ მათგანს: იპრიტს, რომელიც სწვავს ქსოვილებს და იწვევს გულის წვას. ის მოქმედობს მხოლოდ ბრონქებზე და მის განტოტებაზე.

მეორე აირი უფრო მომწამვლელია, რადგან შეიცავს ბევრ ქლორს. ამას ეკუთვნიან ე. წ. მხუთარი აირები.

მისი მოქმედება ვრცელდება არა მარტო ბრონქებზე არამედ ფილტვების პატარა ბუშტებზე, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სუნთქვაში, განირჩევიან თვისი ნაზი აგებულობით და ადვილად ირღვევიან მხუთარ აირების გავლენით.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6-ე ლეგიონის № 4 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ ამავე ლეგიონის უფროს მასწავლებელს მიხეილ ალექსანდრეს-ძე ჯაფარიძეს, მცხოვრებ სამხრეთ ოსეთის, საშვალო განათლებით, ინტელიგენტი, სხვა პარტიაში, როგორც თვითონ აცხადებს, არ ყოფილა.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მისი პარტიაში მიღების შესახებ. გთხოვთ აცნობოთ მე-6-ე ლეგიონის № 4 უჯრედის მდივანს 10 დღის განმავლობაში.

მე-6-ე ლეგ. № 4 უჯრედის პასუხის მგებელი მდივანი.

მე-6 ტერლეგიონის მე-10 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ წითელ არმიელს ქუთაისის მაზრის მცხოვრებს ამხ. პარმენ გელაზონიას. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, ვსთხოვთ გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-6 ტერლეგიონის მე-3 ათასეულის მე-10 კომუჯრედში.

1. კოდანოვი ლევან ილიას-ძე, მესანგრე ასეულის ზემდეგი. ქ. თბილისის მცხოვრები, კომ. პარტიის კანდიდატი 1925 წ. იანვრ. 2. ჯაფარიძე ილარიონ, წ. ა., ათის თავი, რაჭის მაზრის მცხოვრები, კომ. პარტიის კანდიდატი 1925 წ. იანვრიდან. 3. მოწონელიძე ალექსანდრე მეთოდეს-ძე, წ. ა., ათის თავი, რაჭის მაზრა, ახ. ლ. კომ-კავშირის წევრი 1921 წლიდან და კომუნისტური პარტიის კანდიდატი 1925 წლის იანვრიდან.

უჯრედის პას. მგ. მდივანი.

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა, გაცემული 1-ლ საარტ. ლეგიონიდან მე 3 ბატარეის ქვემეხის უფროს ვლადიმერ პატიაშვილის სახელობაზე და სხვა საბუთები. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ფ. ს. ყ. სამხედრო სტამბა ქუთაისი ქ. № 3.